

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 152
27/03/2018

152-07-3-201803271650



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ, ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №6– 5(ხუთი) ფურცელი
დასკვნა №6– 2(ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized initials and a surname, positioned above the text 'კომისიის თავმჯდომარე'.

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქლანჩხეთი

26.03.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: თორნიკე ტიკაძე, გიორგი ჩახვაძე, აკაკი იმნაიშვილი, იოსებ ჩხაიძე და ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი ნატა კობალავა და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. "ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

2. "სსიპ ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

3. "ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

4. "ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

5. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი "ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას "გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტზე და მასში შესატან ცვლილებებზე.

დეკლარაცია ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ მან იურიდიული და სოციალური კომისიის სხდომებზე გამოთქვა შენიშვნები საკრებულოს რეგლამენტთან დაკავშირებით და შესაბამისად მასში მოხდება ყველა შენიშვნის გათვალისწინება.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი "ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი "სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლას მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, სკოლისთვის საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული (აფხაზეთის ომში) ამავე სკოლის აღზრდილი გია ტრაპაიძის სახელის მინიჭების თხოვნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დაფიქსირდა სკოლისა და სოფლის პოზიცია, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია ლანჩუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის შუამდგომლობა, რომელსაც თან ახლავს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სიმონ ტრაპაიძის განცხადება და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი "სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი "ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს წერილით მომართა სსიპ სახელმწიფო ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ეკატერინე სისაურმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე. საუბარია ქ.ლანჩხუთში ჯორდანის ქუჩა №126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2-ე სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საკუთრებაში გადაცემაზე.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში წყალი თავისი დინებით მოედინება და მაინც წყლის ტარიფი არის ძალიან მაღალი. ასევე მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა მას მიზანშეუწონლად მიაჩნია.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-1(იოსებ ჩხაიძე).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო გეგმის შესახებ, ასევე გეგმაში მითითებულ თითოეულ ობიექტზე და უძრავი ქონების საწყის საპრივატიზებო ფასზე.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

-სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ საბავშვო ბაღების აღმშრდელ-მასწავლებლები, რომლებმაც ისაუბრეს ბაღებში არსებულ სხვადასხვა სახის პრობლემებზე. აქედან ერთ-ერთი ტექ-პერსონალის მიზერული ხელფასები იყო. კომისიის თავმჯდომარემ შევითხვით მიმართა ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმშრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელს ნატა კობალავას, რომ იგეგმებოდა თუ არა მიმდინარე წელს რაიმე სახის ხელფასების მატება. ნატა კობალავამ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღების უფროსი აღმშრდელის ხელფასი 350 ლარია, ხოლო აღმშრდელის-300 ლარი. ძალიან დაბალი ხელფასები აქვთ მოსახურე ტექ-პერსონალს. მთლიანი წლის ბიუჯეტი შეადგენს 2200000 ლარს. აქედან სახელფასო ფონდისთვის განკუთვნილია 1374435 ლარი. უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მერთან და საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად მოხდება სკოლამდელი სააღმშრდელო ცენტრის საშტატო განრიგის განხილვა, რის შემდეგაც გახდება ცნობილი აღნიშნული კუთხით რისი გაკეთება იქნება შესაძლებელი.

-დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღების თანამშრომლებს მართლაც ძალიან დაბალი ხელფასები აქვთ და აუცილებელია მოხდეს ხელფასების მატება თუნდაც 10%-ით. მან დააყენა წინადადება, რომ დაიწყოს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა.

-დეპუტატმა ვერიკო კვიციანიამ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვების რაციონში გაყინული პროდუქტის არსებობა. ნათა კობალავამ აღნიშნა, რომ კვების რაციონში გაყინული პროდუქტის არსებობა ნებადართულია, მთავარია კალორიულობა იყოს საკმარისი. მან ასევე აღნიშნა, რომ კვების რაციონს ემატება ორაგულის ფილე.

-დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ხელფასების მატება შესაძლებელია რომ მოხდეს ეკონომიის ხარჯზე, რაზეც ნატა კობალავამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ მხოლოდ ეკონომიის ხარჯზე ვერ დაიგეგმება ხელფასების მატება.

-დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათის საბავშვო ბაღი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და აუცილებელია ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს სააღმშრდელო ცენტრის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კლების მუხლში გათვალისწინებულია 50000 ლარი და მან დააყენა წინადადება, რომ აღნიშნული თანხით მოხდეს ჩიბათის საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

-დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგია ცენტრის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებით. მისი თქმით სარემონტო სამუშაოების დაფინანსება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხით.

-დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთის საბავშვო ბაღში არის სასმელი წყლის პრობლემა და აუცილებელია ბაღში ქალაქის სასმელი წყლის შეყვანა. ნატა კობალავამ აღნიშნა, რომ ჯერ საჭიროა მოხდეს ბაღთან წყლის სისტემის მიყვანა და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება განიხილოს აღნიშნული საკითხი.

-დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათში ფერმერულ მეურნეობებს, მგლები შემოესია და დღე არ გავა, რომ 2-3 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არ გაანადგუროს. მონადირეებს არ აქვთ უფლება, რომ მგლები დახოცონ. მტაცებელი ცხოველის გადამკიდე ოჯახები ლუკმა პურის გარეშე დარჩება. ასევე პრობლემებია შემის მოჭრასთან დაკავშირებით. მან დააყენა წინადადება, რომ უახლოეს საკრებულოს სხდომაზე მოწვეულ იქნას გარემოს დაცვის პოლიციის წარმომადგენელი, რომ მოხდეს აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა და შესაბამისი ზომების მიღება.

-დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში ჩატებულია ორი ხიდი, რომელიც სოფელს აკავშირებს სახნავ-სათესს ფართობებთან. აუცილებელია მოხდეს ხიდების აღდგენა, რადგან იწყება ხვნა-თესვა და მოსახლეობას შეექმნება პრობლემები. ასევე მძიმეწონიანი

სატვირთო მანქანები ინტენსიურად მოძრაობენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საბალახო ტერიტორიაზე, რასაც შეეწირა რამდენიმე პირუტყვი. მან დააყენა წინადადება, რომ აღნიშნულ საკითხებზე დროულად მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

-კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ ისაუბრა ქალთა საფეხბურთო გუნდის ცალკე კლუბად ჩამოყალიბებაზე და სხდომას გააცნო საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნინო სორდიას წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ფედერაცია მხარს უჭერს გუნდის ცალკე კლუბად დაფუძნებას და მიიჩნევს, რომ ცალკე დამოუკიდებლად მოქმედი ორგანიზაცია უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე, ვიდრე სპორტის სხვა სექციებთან გაერთიანებული გუნდი. მან ასევე სხდომას წარუდგინა საქართველოში ბოშის ოფიციალური სერთიფიცირებული პარტნიორის გენერალური დირექტორის ილია თავაძის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომპანია იმ შემთხვევაში გაუწევს ქალთა გუნდს სპონსორობას თუ ის ცალკე კლუბად ჩამოყალიბდება.

-კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს ქალთა საფეხბურთო გუნდის ცალკე კლუბად დაფუძნებაზე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

 ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №6

2018 წლის 26 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
2. "სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
3. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
4. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი "სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო
ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის
დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.





საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.03.2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14:50	
2	თორნიკე ტიკაძე	14:25	თ. ტიკაძე
3	გიორგი ჩახვაძე	14:50	გ. ჩახვაძე
4	დავით ჩხარტიშვილი	ჩ. ჩხარტიშვილი	
5	ამირან გიგინეიშვილი	15:00	
6	იოსებ ჩხაიძე	14:55	
7	აკაკი იმნაიშვილი	14:55	აკაკი იმნაიშვილი
8	ზურაბ კუკულავა	ჩ. ჩხარტიშვილი	